# ლენინური პარტიის დროშით

## კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მანიფესტაცია და მიტინგი წითელ მოედანზე

სიამაყის, შემართების, კომუნისტური აღმშენებლობის ახალი მიჯნების დალაშქვრის მზადყოფნის გრძნობით შეიკრიბნენ 28 ოქტომბერს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელები და ახალგაზრდობა სადღესასწაულოდ მორთულ წითელ მოედანზე, რათა ეპატაკათ სამშობლოსათვის, პარტიისათვის თავიანთი საქმენი და მიღწევები, კვლავ შეეფიცათ ერთგულება რევოლუციის წითელი დროშისათვის.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კონოტოპი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო კომიტეტის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, თვალსაჩინო მხედართმთავრები.

სტუმრების ტრიბუნებზე იყვნენ ახალგაზრდობის დღესასწაულის საპატიო სტუმრები: პარტიის ვეტერანები, მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირის წარმოგზავნილნი, ახალგაზრდა წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული ახალგაზრდული ორგანიზაციების დელეგაციები.

საზეიმო მანიფესტაცია მოსკოვში გადაიქცა შესანიშნავ დემონსტრაციად, რომელმაც ცხადყო, რომ კომკავშირელება, [illegible] ახალგაზრდობა [illegible] შეკავშირებული [illegible] მო, რომ ხანჭრეთის ქალიშვილები და ჭაბუკები მხურვალედ ისწრაფვიან გაამართლონ მისი ნდობა შთაგონებული შემოქმედებითი შრომით, კიდევ უფრო თავდადებული ბრძოლით სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 214 (6269)

31 ოქტომბერი, სამშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ორგზის საიუბილეო


# ელენა მუხინა — ტურიშჩევას მემკვიდრე

მსოფლიო ჩემპიონატზე სპორტულ ტანვარჯიშში ქალთა შორის ყველაფერი ბოლო, მეოთხე იარაღზე (ბჯენით ხტომები) გადაწყდა: მოსკოველმა ელენა მუხინამ აჯობა ჩვენი ნაკრების კაპიტანს, მინსკელ ნელი კიმს, 78,725 ქულა მოაგროვა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ვერცხლის მედალი გადაეცა ნ. კიმს — 78,575 ქულა, ბრინჯაოსი — ნატალია შაპოშნიკოვას (დონის როსტოვი) — 77,875 ქულა.

მონრეალის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი, რუმინელი ნადია კომანეჩი (77,725) მეოთხე ადგილზეა. მისი თანაგუნდელი — ემილია ებერლე (77,3) — მეხუთეზე, ხოლო 14 წლის ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშე ვერა ჩერნა (77,025) — მეექვსეზე.

— ჩემი ოცნება იყო გამემარჯვა ესოდენ დიდ შეჯიბრებაზე — თქვა ახალმა ჩემპიონმა, — ძალიან მიხარია, რომ საწადელი აისრულდა.

ელენა მუხინამ მართლაც შესანიშნავად იასპარეზა სტრასბურგის მსოფლიო ჩემპიონატში. მისი ყოველი გამოსვლა დიდი ტექნიკით, ელეგანტობით გამოირჩეოდა. დღეს უკვე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ელენა მუხინა ლიუდმილა ტურიშჩევას ღირსეული მემკვიდრეა.

**აი, პრიზიორები და შედეგები ცალკეულ სახეობებში.**

**ვაჟები** — თავისუფალი ვარჯიში, 1. კურტ თომასი (აშშ) — 19,65; 2. სიგერუ კასამაცუ (იაპონია) — 19,575; 3. ალექსანდრე დიტიატინი (სსრ კავშირი) — 19,4. **ცხენი.** 1. ზოლტან მადიარი (უნგრეთი) — 19,8, 2. ებერჰარდ გინტერი (გფრ) — 19,425, 3. სტოიან დელჩევი (ბულგარეთი) — 19,4. **რგოლები.** 1 ნიკოლოზ ანდრიანოვი (სსრ კავშირი) — 19,7, 2. დიტიატინი — 19,675, 3. დან გრეკუ (რუმინეთი) — 19,65. **ბჯენით ხტომები.** იუნისი სიმიძუ (იაპონია) — 19,6, 2. ანდრიანოვი — 19,575, 3. რალფ ბარტელი (გდრ) — 19,55. **ძელი.** 1. ეიძო კენმოცუ (იაპონია) — 19,6, 2. ანდრიანოვი და ხროსი კაძიამა (იაპონია) — 19,575 თითოეულს. **ღერძი.** 1. კასამაცუ — 19,675; 2. გინგერი — 19,65, 3. გენადი კრისინი (სსრ კავშირი) და დელჩევი (ბულგარეთი) — 19,55.

**ქალები. ბჯენითი ხტომები** — 1. ნელი კიმი (სსრ კავშირი) — 19,625, 2. ნადია კომანეჩი (რუმინეთი) — 19,6, 3. შტეფი კრეკერი (გდრ) — 19,55; **ძელი** — 1. მარცია ფრედერიკი (აშშ) — 19,8, 2. ელენა მუხინა (სსრ კავშირი) — 19,725, 3. ემილია ებერლე (რუმინეთი) — 19,625; **ძელები** — კომანეჩი — 19,625, 2. მუხინა — 19,6, 3. ებერლე — 19,575; **თავისუფალი ვარჯიში** — 1. კიმი და მუხინა — 19,775 თითოეულს; 3. კეტი ჯონსონი (აშშ) და ებერლე — 19,525 თითოეულს.

* * *

**სურათზე:** ე. მუხინა მწვრთნელ ვ. კლიმენკოსთან ერთად.



**საბჭოთა** სომხეთის ხალხმა ახლახან უდიდესი სიხარულის გრძნობით აღნიშნა სომხეთის რუსეთთან შეერთების 150 წლისთავი. ეს საყოველთაო-სახალხო ზეიმი საბჭოთა ხალხის ნამდვილი მეგობრობის ნიშნით ჩატარდა.

და აი, თითქოს ამ ზეიმის გაგრძელებად იქცა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში მეხუთე საკავშირო ჩემპიონატი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე, რომელიც კომკავშირის 60 წლის იუბილეს ეძღვნება. როგორც წინა ამგვარ ტურნირებში, ახლაც სომხეთის დედაქალაქ ერევანში სწორედ კომკავშირის დაბადების დღეს — 29 ოქტომბერს მოეწყო ტურნირის საზეიმო გახსნა.

„რაზდანის" სტადიონზე შეკრებილი ათიათასობით მაყურებელი გულთბილად შეეგება ჩემპიონატის მონაწილეებს — თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის, ბაიკალ-ამურის მაგისტრალისა და რსფსრ-ს ჩემპიონატში გამარჯვებული — ყუბანის გუნდებს.

მონაწილეთა საზეიმო სვლას ხელმძღვანელობდა ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. ბოლოტნიკოვი. შეკრებილთ მიესალმნენ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რ. სვეტლოვა და საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ოხრომი.

ჩემპიონატის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ასპარეზობათა მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის მფრინავმა-კოსმონავტმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ა. ლეონოვმა.

ტურნირის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე შეკრებილთ თავიანთი ოსტატობა უჩვენეს ნორჩმა ერევნელმა სპორტსმენებმა და გამოჩენილმა ათლეტებმა. მოეწყო მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი.

სამდღიანი ასპარეზობის ეპიცენტრია ერევნის „რაზდანის" სტადიონი. აქ გაიმართა პროგრამის მძლეოსნურ სახეობებში შეჯიბრება, ცურვა „დინამოს" აუზში ეწყობა, სროლას დოსააფის ტირები უმასპინძლებენ, ხოლო კროსი კომიტასის სახელობის პარკში ჩატარდება.

საქართველოს სპორტსმენებიდან ჩემპიონატი განსაკუთრებით კარგად დაიწყეს ი. კოსორუკოვამ, რომელიც პირველი საფეხურის მრავალჭიდელთა შორის გამოდის და მეოთხე საფეხურის ნიშნოსანმა თ. ჩიტაძემ. ისინი მძლეოსნობის შემდეგ ლიდერობდნენ.

ჩემპიონატი დღეს მთავრდება.

# კომკავშირის მე-60 წლისთავს მიეძღვნა

ახლახან დამთავრდა კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი „განთიადის" ჭიათურის საქალაქო საბჭოს XVIII სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა შაში, ძალოსნობა, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ხელბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, მშდ მრავალჭიდი და ტყვიის სროლა. საბოლოო ჯამში, ითივე სახეობის შემდეგ, ერთნაირი საჯარიმო ქულები დააგროვეს დამხმარე წარმოებათა სამმართველოსა და ახალი ითხვისის მაღაროს ფიზკულტურის კოლექტივებმა, მაგრამ პირველს უფრო მეტი გუნდური პირველი ადგილი (4) აღმოაჩნდა და მესამედ გადაეცა გარდამავალი თასი. დამხმარე წარმოების ნაკრებმა გუნდებმა პირველი ადგილები მოიპოვეს ფრენბურთში, შაშში, მშდ მრავალჭიდში და ტყვიის სროლაში, ხოლო II — მძლეოსნობასა და ძალოსნობაში. ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა ყველას აჯობა მძლეოსნობაში, ძალოსნობასა და ჭადრაკში. სპარტაკიადის მესამე საპრიზო ადგილის მფლობელმა — ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს გუნდმა საპრიზო ადგილები მოიპოვა ხელბურთში, მძლეოსნობაში, მშდ მრავალჭიდსა და ტყვიის სროლაში.

„განთიადის" საქალაქო სპარტაკიადაში სტარტზე გამოვიდა 3686 მუშა-სპორტსმენი. აქ შესრულდა 8 პირველი, 94 მეორე, 487 მესამე და 72 მოზარდთა თანრიგის ნორმატივი. გამარჯვებული გუნდები და ცალკეულ სახეობაში საპრიზო ადგილებზე გასული ფიზკულტურელები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და თასებით.

**ვ. ბარჯაძე.**

ჭიათურა.

# მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე

**ბუენოს-აირესის** მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის II ტურში საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა იოლად სძლია საფრანგეთის გუნდს — 3:0. ასევე მშრალი ანგარიშით მოუგეს საბჭოთა მოჭადრაკე ქალებმა მექსიკელებს III ტურში და 8,5 ქულა დააგროვეს.

II ტურში საბჭოთა მოჭადრაკე ვაჟებმა ანგარიშით 3,5:0,5 დაამარცხეს არგენტინის მეორე ნაკრები. საქმე ის არის, რომ ოლიმპიადის ტურნირში, რომელიც შვეიცარული სისტემით ტარდება, მონაწილე გუნდების რაოდენობა კენტი აღმოჩნდა და ამიტომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა მასპინძელთა კიდევ ერთი გუნდი დაუშვეს სასპარეზოდ.

III ტურში რუმინეთის კოლექტივთან შეხვედრაში დაზავდნენ სპასკი — გეორგიუ, პოლუგაევსკი — შუბა. ორი პარტია გადაიდო.

უნგრელებმა დაამარცხეს პოლონელები — 3:1, იუგოსლავიელებმა — ნორვეგიელები — 2,5:1,5, აშშ-ს ნაკრებმა სძლია კანადის გუნდს — 3:1. კუბის გუნდი წინ არის გფრ-ს მოჭადრაკეებთან შეხვედრაში — 1,5:0,5 (ორი პარტია გადადებულია).

სამი ტურის შემდეგ 9,5-9,5 ქულით ლიდერობენ ინგლისის, ესპანეთისა და უნგრეთის მოჭადრაკეები, ამასთან ინგლისელებს ერთი პარტია აქვთ დასამთავრებელი, ბულგარელებს 9 ქულა აქვთ, 8,5-8,5 ქულით მოდიან აშშ-ს, იუგოსლავიისა და დანიის მოჭადრაკეები. კუბის ნაკრებს 8 ქულა აქვს (2 გადადებული), საბჭოთა ნაკრებს — 7,5 (2).

# ნ. გურიელი და თ. ხუგაშვილი — ზონალური ტურნირის მონაწილენი

## ჭადრაკი

**ნიკოლაევის** ქალთა 38-ე საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში ამავე დროს წარმოადგენდა შესარჩევ შეჯიბრებას 1978 წლის ფრუნზეს მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირისთვის. პირველობის მონაწილეთა შორის იყო ორი მოჭადრაკე — ი. ლევიტინა და ე. ფატალიბეკოვა, რომელთაც სრულიად არ აღელვებდათ შეჯიბრების შესარჩევი ხასიათი: ორივე პერსონალურად არის მიწვეული 1979 წლის საზონათშორისო ტურნირში.

საბოლოოდ მონაწილენი ასეთნაირად განლაგდნენ შეჯიბრების ცხრილში: 1-2. საერთაშორისო დიდოსტატი ლევიტინა (ლენინგრადი) და საერთაშორისო ოსტატი ლ. სემიონოვა (კიევი) — 12,5-12,5 ქულა, ოსტატები: 3. ტ. ვორონოვა (ნაბერეჟნიე ჩელნი) — 11, 4. ნ. გურიელი (თბილისი) — 10,5, 5. ოსტატობის კანდიდატი ლ. ლისენკო (კიევი) — 10, 6. საერთაშორისო დიდოსტატი ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) — 9,5, 7. ოსტატი ნ. ტიტორენკო (მოსკოვი) — 9, 8-10. საერთაშორისო დიდოსტატი ფატალიბეკოვა (მოსკოვი), ოსტატები თ. ხუგაშვილი (თბილისი) და ტ. ჩეხოვა (მოსკოვი) — 8,5-8,5, 11. საერთაშორისო ოსტატი ტ. ფომინა (ტალინი) — 8. ყველა ეს მოჭადრაკე (ლევიტინასა და ფატალიბეკოვას გარდა) ითამაშებს ფრუნზეს ტურნირში. 12-13. ოსტატი ო. პედკო (ჩელიაბინსკი) და ოსტატობის კანდიდატი ტ. მინოგინა (მოსკოვი) — 7,5-7,5, 14. ოსტატი ლ. ზაიცევა (მოსკოვი) — 7, ოსტატობის კანდიდატები: 15-16. მ. წკერეთელი (თბილისი) და ი. ერუსლანოვა (ვორონეჟის ოლქი) — 6-6, 17. ლ. პოლნარევა (ლენინგრადი) — 5,5, 18. საერთაშორისო ოსტატი ვ. სტერნინა (მოსკოვი) — 5.

ქართველ მოჭადრაკეთაგან ფრუნზეს ზონალურ ტურნირში, რომელიც დეკემბრის თვეში აიღებს სტარტს, პერსონალურად არის მიწვეული ევროპის ჩემპიონი გოგონათა შორის ნ. იოსელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „თბილისის 6 დღის“ მეხუთე სტარტი

ექვსდღიანი წყვილთა საერთაშორისო ველორბოლა თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე პირველად 1973 წლის ოქტომბერში ჩატარდა. მაშინ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებიც გათამაშდა. მასპინძელთა უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად შეჯიბრებაში ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჰოლანდიის ველოსიპედისტებიც მონაწილეობდნენ. წარმატება წილად ხვდათ ა. ხრისტენოკ (მოლდავეთი) — ი. კუჩერიავის (უკრაინა) წყვილს.

ასე ჩაეყარა საფუძველი ახლა საკმაოდ ცნობილ საერთაშორისო ტურნირს — „თბილისის 6 დღე“, რომელიც ველოსპორტის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციისა და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის ყოველწლიურ კალენდარში დამკვიდრდა.

მას მერე ეს ასპარეზობა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ყოველწლიურად ოქტომბერში ტარდება და შემადგენლობა თითქმის მუდამ იცვლება. მისი უცვლელი მონაწილენი არიან მხოლოდ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. 1974 წელს ამ ტრიოს გარდა აქ ძალებს ცდიდნენ ბულგარეთის და იტალიის ველოსიპედისტებიც. იტალიელები ჩვენს ტრეკს პირველად სწორედ მაშინ გაეცნენ და მის სწრაფ ბილიკებს მაღალი შეფასებაც მისცეს.

ერთი წლის შემდეგ გამართულ შეჯიბრებაში უკვე დანიელებმაც მოსინჯეს ძალები.

საქართველოს ველოსიპედისტებმა ყველაზე დიდ წარმატებას 1976 წელს მიაღწიეს, როცა წყვილთა ჯგუფურ რბოლაში პ. ჩევარდოვმა და ვ. ივანოვმა III საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

და აი, ამ დღეებში დედაქალაქის ცენტრალურ ველოდრომზე დამთავრდა მორიგი „თბილისის 6 დღე“. ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ველოსპორტის ფედერაციებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს — თავიანთი საუკეთესო წყვილები გამოგზავნეს. მაყურებელმა პირველად იხილა რუმინელთა ოსტატობაც. მათ მეტოქეობას უწევდნენ ლენინგრადის, ყაზახეთის, უკრაინისა და რსფსრ-ს კოლექტივები. მასპინძლები — საქართველოს სპორტსმენები ამჯერად მხოლოდ ომნიუმში ასპარეზობით დაკმაყოფილდნენ.

ექვსდღიანი წყვილთა რბოლის მონაწილეებს ყოველდღე 100 წრე (10 საშუალედო ფინიშით) უნდა შემოევლოთ, ყველაზე მარჯვე წყვილს კი ასპარეზობის ბოლო დღე დაასახელებდა. თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს ჩეხოსლოვაკიელებმა ი. მიკშიკმა და ი. ბლაგამ. მათ ამ დღეს 40 კილომეტრი 51 წუთსა და 3 წამში გაიარეს, საათში 47,13 კმ სისწრაფე განავითარეს და საშუალედო ფინიშებზე საბოლოოდ 31 ქულა მოაგროვეს, 8 ქულით მეტი, ვიდრე მათმა თანამემამულეებმა ზ. ადამეკმა და პ. კოცეკმა. მესამე შედეგი ჰქონდათ პოლონელებს ზ. ვოზნიცკისა და ს. გროხოვსკის — 18 ქულა. მიკშიკმა და ბლაგამ ეტაპის მოგებისთვის საკლასიფიკაციო 25 ქულა მიიღეს, სხვა პრიზიორებმა შესაბამისად 22 და 20.

ამ რბოლის საერთაშორისო წესებით ყოველ შემდგომ დღეს, მორიგ ეტაპზე გამარჯვებული ქულით მეტს იღებს. მაგალითად, II ეტაპზე უძლიერეს წყვილს 26 საკლასიფიკაციო ქულა ეწერება, III ეტაპზე გამარჯვებულს — 27 და ა. შ. ეს ბრძოლების თანდათან გაძნელებით არის ნაკარნახევი...

ამ დღეს ომნიუმის მონაწილეებს მხოლოდ სპრინტი ჰქონდათ (წინასწარ ვიტყვით, რომ ომნიუმის რომელიმე სახეობაში გამოუსვლელობისთვის მონაწილეს უკანასკნელი ადგილი, პლიუს 5 ქულა ეწერება). აქ ყველას აჯობა 18 წლის სპორტის ოსტატმა რ. მიროშნიკოვმა (ყაზახეთი), რომელმაც 17 მეტოქე ჩამოიტოვა. საქართველოს სპორტსმენებმა, სპორტის ოსტატებმა ა. სივოჟელეზოვმა („განთიადი“), ე. გელაშვილმა და გ. დვალიშვილმა (ორივე — „დინამო“) შესაბამისად VI, VII და VIII ადგილები დაიკავეს, ხოლო დინამოელი ი. პოპოვი XV ადგილს დასჯერდა.

დღეები გადიოდა. წყვილთა შეჯიბრების საშუალო სიჩქარე თანდათან მატულობდა, მაგრამ მიკშიკისა და ბლაგას მძლეველი არავინ გამოჩნდა. ისინი ყველა ეტაპზე საშუალედო ფინიშების ჯამში ყველაზე მეტ ქულებს აგროვებდნენ და საკლასიფიკაციო ქულათა ჯამიც თანდათან მატულობდა. II ეტაპის 100 წრეზე მათ ადამეკსა და კოცეკს სულ რაღაც ქულით აჯობეს, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მათ 26 საკლასიფიკაციო ქულა მიეღოთ, მათ თანაგუნდელებს კი მხოლოდ 23. ამ ეტაპზე III ადგილიც ჩეხოსლოვაკიის დუეტმა (ი. ზოვზელი — კ. რანდაკი) მოიგო. საშუალო სისწრაფე 47,55 კმ-მდე ავიდა.

ომნიუმის მონაწილეები ამჯერად ორ სახეობაში ცდიდნენ ძალებს — 200 მეტრზე გიტსა და 10-წრიან სპრინტში (10 ფინიშით).

თუ ფავორიტებად მიკშიკი და ბლაგა დარჩნენ, ომნიუმში მიროშნიკოვს არ ჰყავდა ბადალი — გიტში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა — 200 მეტრი 11,7 წამში დაფარა, 10 წრის შემოვლაში კი ყველაზე მეტი (15) ქულა დაიმსახურა.

გიტში წარმატებით იასპარეზა ამ საერთაშორისო შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 17 წლის ე. გელაშვილმა, რომელმაც II შედეგი (11,9) აჩვენა, მაშინ, როცა მისი თანაგუნდელები გ. დვალიშვილი (12,2), ა. სივოჟელეზოვი (12,23) და ი. პოპოვი (12,91) VIII, X და XV ადგილებს დასჯერდნენ. სამაგიეროდ, 10 წრეზე რბოლაში მასპინძლებიდან საუკეთესო გახლდათ სივოჟელეზოვი — V ადგილი მოიპოვა.

გელაშვილმა მორიგ წარმატებას მიაღწია მესამე დღეს გამოთიშვით ჯგუფურ რბოლაში, როცა მიროშნიკოვისა და უკრაინელ მ. კოროტკოვის მერე III ადგილი დაიკავა და ომნიუმის ხუთი სახეობის ჯამშიც მეოთხე ადგილზე გავიდა. მას 2 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში რომ ცოტა უკეთესად ევლო (XIV ადგილი დაიკავა), ჯამში უფრო დაწინაურებას მოახერხებდა.

წყვილთა რბოლის III ეტაპიდან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაერივნენ ნ. მაკაროვ — ა. ქივაევისა (ყაზახეთი) და ა. ლიტვინენკო — ს. ტატარენკოს (უკრაინა) დუეტები, რომლებმაც ამჯერად მეორე და მესამე შედეგები მოიპოვეს და [illegible] მდგომარეობა [illegible] გამოასწორეს.

[illegible] სამი ეტაპიც მიკშიკ — ბლაგას წყვილმა მოიგო. საბოლოოდ მათ 154 საკლასიფიკაციო ქულა მიიღეს და პირველობაც მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ ადამეკი და კოცეკი — 142, III — მაკაროვი და ქივაევი — 128.

ტურნირის უკანასკნელ დღეს წყვილთა რბოლის მონაწილეებმა 100 წრე 49 წუთსა და 11 წამში დაფარეს. ეს საათში 48,81 კმ სისწრაფეს უდრის, რაც აბსოლუტურად საუკეთესო შედეგია.

ომნიუმის პროგრამიდან ძალზე საინტერესო იყო გამოთიშვით გუნდური რბოლა, რომელმაც წარმატება საქართველოს სპორტსმენებს მოუპოვა. გ. დვალიშვილმა, ე. გელაშვილმა, ა. სივოჟელეზოვმა, ი. პოპოვმა და უკრაინელმა ვ. მალიუკმა ფინალში 2.13,92 აჩვენეს. მათ 0,51 წამით აჯობეს უკრაინისა და ყაზახეთის სპორტსმენებით დაკომპლექტებულ ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ე. მიროშნიკოვი, ა. კორიაგინი (ორივე — ყაზახეთი), მ. კოროტკოვი, ვ. კორჟი და ვ. მერკოტანი.

დვალიშვილმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — 80 წრეზე (10 საშუალედო ფინიშით) ჯგუფური რბოლა მოიგო, რამაც საშუალება მისცა ომნიუმის ჯამში V ადგილზე გასულიყო.

ომნიუმში საპრიზო ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: მიროშნიკოვი — 24,5 საჯარიმო ქულა, მერკოტანი — 37, კორჟი — 46,5. სივოჟელეზოვმა მეექვსე ადგილი დაიკავა — 61,5 ქულა. გელაშვილმა — მერვე — 70, პოპოვმა — მეათე — 90,5.

საქართველოს ველოსიპედისტებისთვის ეს შეჯიბრება წლევანდელი სეზონის შემაჯამებელი ტურნირი იყო. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ახლა უშუალოდ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებას შეუდგებიან.

ჯ. ქვარცხავა.

* * *

სურათზე: „თბილისის 6 დღეში“ გამარჯვებულნი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ველოსპორტი

# სწრაფი ბორბლები

ყველა ერთდროულად დაიძრა. თითქმის 200-მეტრიან დაღმართზე ველოსიპედისტებმა სწრაფად ჩაიქროლეს და მარჯვენა სანაპიროს გავლით მცხეთისკენ გზას გაუდგნენ საქართველოს მრავალდღიანი ვარსკვლავისებური ველორბოლის V ეტაპის მონაწილეები.

მალე თ. კიკნაძე („განთიადი“) და ი. რთველიაშვილი („კოლმეურნე“) დაწინაურდნენ. მცხეთასთან ისინი ძირითად ჯგუფს თითქმის 2 წუთს უგებდნენ, მაგრამ თუნდაც ორ ველოსიპედისტს, როგორი ძლიერებიც არ უნდა იყვნენ ისინი, უჭირთ ჰაერის წინააღმდეგობასთან ბრძოლა. სულ სხვაა, როცა ჯგუფთან მიდიხარ, გზის მკვლევართა ცვლა ყველას საქმეს უადვილებს, სისწრაფეც დიდია და ენერგიაც ნაკლები იხარჯება...

მაგრამ კიკნაძე და რთველიაშვილი წინ ჯიუტად მიიწევენ. ანანურამდე, საიდანაც შეჯიბრების მონაწილენი უკან უნდა დაბრუნდნენ და დღის შედეგები ისევ თბილისში შეაჯამონ, ჯერ კიდევ დიდი გზაა.

ნატახტარის მიდამოებში ძირითად ჯგუფს კიდევ სამი სპორტსმენი — სპარტაკელები ა. ფომენკო და გ. გველესიანი და განთიადელი ზ. ძულიაშვილი გაექცნენ. ისინი ლიდერებს გამოუდგნენ.

ბულაჩაურის გადასახვევთან მეწინავე დუეტი ყველას უკვე წუთზე მეტს უგებდა, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, რომ დანებებას არც სხვები აპირებდნენ, მდევართა ტემპი თანდათან მატულობდა და ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ისინი ი. რთველიაშვილსა და კიკნაძის წამოეწეოდნენ.

წინ წასულებს სოფ. ბოდორნასთან დაველოდეთ. უკან დაბრუნებულ ველოსიპედისტთა ჯგუფს დინამოელები ი. პოპოვი, მ. კომელიანი და ნ. კრასავცევი („განთიადი“) მოუძღოდნენ. ცხადი იყო, კიკნაძე და რთველიაშვილი ბედს შეურიგდნენ. იქნებ ტაქტიკურ მანევრსაც მიმართეს — ისევ ჯგუფთან სიარული, დასვენება და შემდეგ, შეთანხმებულ ფინიშთან კვლავ დაწინაურება განიზრახეს?

უკან დარჩა სოფ. მისაქციელი. ასპარეზობას ახალი ლიდერები გაუჩნდნენ — ფომენკო და მისი თანაგუნდელი ს. გიგილაშვილი. ნატახტარის გავლის შემდეგ მთავარ ჯგუფს კიდევ ხუთკაციანი ჯგუფი გამოეყო — ტ. რთველიაშვილი, ნ. გოგოჭური, კომელიანი, ი. რთველიაშვილი და ქ. იოვიძე („ბურევესტნიკი“) შეეცადნენ ლიდერებთან შეერთებას.

ფინიშიც გამოჩნდა. უკანასკნელი, თითქმის 200-მეტრიანი აღმართი პირველებმა ი. რთველიაშვილმა და დინამოელმა პ. ჩევარდოვმა აიარეს. 110-კილომეტრიანი ეტაპი ორივემ 2 საათსა, 23 წუთსა და 55 წამში დაამთავრეს. ი. რთველიაშვილი ფინიშის ხაზთან ოდნავ წინ იყო და საბონიფიკაციო წუთიც მას დააკლდა. ჩევარდოვმა კი 30 წამის შეღავათი მიიღო. III ადგილი წილად ხვდა ა. ფხაკაძეს („კოლმეურნე“) — 2:24.11.

ამ ეტაპზე გუნდური პირველობა მოიგო „კოლმეურნის“ ნაკრებმა — 9:36.40. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „სპარტაკი“ (9:36.44) და „დინამო“ — 9:37.28 (გუნდებს 8-8 სპორტსმენი გამოყავთ. ყოველ ეტაპზე კი ჩათვლებს 4-4 საუკეთესო სპორტსმენის მაჩვენებლით ღებულობენ).

— წლევანდელი რესპუბლიკური მრავალდღიანი ველორბოლა განსაკუთრებულია, — გვეუბნება შეჯიბრების მთავარი მსაჯი ი. გოცირიძე, — ჩვენი გზატკეცილზე მრბოლელები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში მაინცდამაინც არასოდეს გამოირჩეოდნენ, მაგრამ VII სპარტაკიადა სულ სხვაა. მასში მონაწილეობა (შეჯიბრება ახალ ოლიმპიურ ტრასაზე მოეწყობა) ყველა რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებისგან გულმოდგინე მომზადებას მოითხოვს. ეს ტურნირი საქართველოს ძალების მორიგი დათვალიერებაა, ნაკრების კანდიდატები კი გაზაფხულზე შეირჩევა...

— თუ ვინმეა იმედის მომცემი?

— დღევანდელი რბოლით თუ ვიმსჯელებთ, ბიჭებს ვერ დავემდურებით — ეტაპზე მონაწილეთა უმრავლესობა თავგამოდებით მუშაობდა და შედეგიც კარგია — საშუალო სისწრაფე 43 კილომეტრს აჭარბებს, სიმძაფრე სხვა ეტაპებზეც საკმაოდ იყო.

...სხვა ეტაპები წინა დღეებში გაიმართა.

შეჯიბრების მონაწილე „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „ლოკომოტივისა“ და „შრომითი რეზერვების“ (შვიდი გუნდის თავშეყრა წინ გადადგმული ნაბიჯია) სპორტსმენებს (არმიის სპორტკლუბმა ჩემპიონატს თავი აარიდა) პირველივე დღეს ძნელი გამოცდა მოუწყვეს: თბილისი — კოჯრის 15-კილომეტრიანი ეტაპი მხოლოდ აღმართს შეადგენდა. სტარტზე გამოსული 57 სპორტსმენი (ესეც დამაიმედებელი ციფრია) ვაჟკაცურად ებრძოდა ძნელ ტრასას, მაგრამ ყველაზე მარჯვე აღმოჩნდა პ. ჩევარდოვი, რომელმაც კოჯორში მოწყობილ ფინიშამდე მისვლას 36 წუთი მოანდომა. მან ა. ცხოვრებაძეს („კოლმეურნე“) 24,9 წამი მოუგო, მესამე პრიზიორი ნ. გოგოჭური („სპარტაკი“) კი 45,3 წამით ჩამოიტოვა.

ეს ის ჩევარდოვია ტრეკზე რბოლაში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში რომ ირიცხება.

— საგზატკეცილო ველორბოლა დიდად მეხმარება საერთო ფიზიკური მომზადების სრულყოფაში, ტრეკზე წარმატებებს სწორედ მისი წყალობით ვაღწევ და ამიტომაც ხელიდან არასდროს ვუშვებ შემთხვევას, გზატკეცილზეც ვცადო ძალები. — გვითხრა პეტრე ჩევარდოვმა, როცა ვკითხეთ თუ რა როლს ანიჭებს იგი საგზატკეცილო ველორბოლას.

— სწორია, თანამედროვე ველოსპორტში თითქმის გაქრა ზღვარი ტრეკზე რბოლისა და საგზატკეცილო რბოლის ოსტატთა შორის. ამ ორივე სახეობის შეთავსება ორთავეგან წარმატებას განაპირობებს. გზატკეცილზე მრბოლელს ისევე სჭირდება ტრეკის ოსტატის სისწრაფე, როგორც ტრეკზე მოასპარეზეს ფიზიკური ძალა, — ადასტურებს სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე.

პირველივე ეტაპი „კოლმეურნის“ ნაკრებმა მოიგო (2:34.47) და მას შემდეგ ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია. მათ დინამოელებს კოჯრამდე 1 წუთი და 39 წამი მოუგეს, ხოლო „განთიადის“ კვარტეტმა 2:39.11 აჩვენა.

**სხვა ეტაპების ტექნიკური შედეგები:**

**II ეტაპი.** თბილისი — წითელი ხიდი — თბილისი. 102 კმ. პირადი. ლ. პირუმიანი („სპარტაკი“) — 2:22.25, ს. გლაზოვი („განთიადი“) — 2:22.55, ა. ფხაკაძე („კოლმეურნე“) — 2:23.10. გუნდური. „განთიადი“ — 9:35.38, „დინამო“ და „სპარტაკი“ — 9:38.36.

**III ეტაპი.** თბილისი — ბოლნისი — თბილისი. 108 კმ. პირადი. ა. ცხოვრებაძე — 3:01.24, ჯ. ცივაძე — 3:02.7, ი. რთველიაშვილი (ყველა — „კოლმეურნე“) — 3:02.8. გუნდური. „კოლმეურნე“ — 12:12.31, „განთიადი“ — 12:28.30, „დინამო“ — 12:30.52.

**IV ეტაპი.** თბილისი — საგარეჯო — თბილისი. 110 კმ. პირადი. გ. ქობაკიძე („კოლმეურნე“) — 2:10.17, ა. ფხაკაძე — 2:10.17, ჩევარდოვი — 2:10.17. გუნდური. „კოლმეურნე“ — 8:39.38, „დინამო“ — 8:40.53, „სპარტაკი“ და „განთიადი“ — 8:41.08.

ხუთი ეტაპის ჯამში ლიდერობს „კოლმეურნის“ ნაკრები — 42:44.25. შემდეგ ადგილებზე მოდიან „დინამო“ — 43:04.15 და „განთიადი“ — 43:05.44.

პირადში წინ არის ა. ცხოვრებაძე („კოლმეურნე“).

ო. გელაშვილი,
მ. სამადაშვილი.



* * *

სურათზე: ტრასაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი

## უმაღლესი ლიგა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები:

„დინამო“ მ. — „ქაირათი“ 2:0.

„არარატი“ — „სპარტაკი“ 1:0.

„ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“ 0:1.

„ზარია“ — „ფახთაქორი“ 2:1.

ცსკა — „დნეპრი“ 1:0.

### გათამაშების ცხრილი

#### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 28 | 17 | 6 | 5 | 43—22 | 40 |
| „დინამო“ კ. | 28 | 14 | 8 | 6 | 38—19 | 36 |
| „დინამო“ მ. | 28 | 14 | 8 | 6 | 35—21 | 36 |
| „შახტიორი“ | 28 | 15 | 5 | 8 | 38—29 | 35 |
| „ჩერნომ.“ | 28 | 11 | 10 | 7 | 37—24 | 30 |
| „ტორპედო“ | 28 | 11 | 10 | 7 | 33—25 | 30 |
| „სპარტაკი“ | 28 | 12 | 5 | 11 | 39—32 | 29 |
| ცსკა | 28 | 12 | 4 | 12 | 32—38 | 28 |
| „ზენიტი“ | 28 | 9 | 8 | 11 | 31—40 | 26 |
| „ფახთაქ.“ | 28 | 9 | 7 | 12 | 40—40 | 25 |
| „ქაირათი“ | 28 | 9 | 7 | 12 | 29—37 | 25 |
| „ზარია“ | 28 | 8 | 7 | 13 | 35—42 | 23 |
| „ნეფთჩი“ | 28 | 8 | 6 | 14 | 27—37 | 22 |
| „ლოკომოტ.“ | 28 | 7 | 8 | 13 | 26—39 | 22 |
| „არარატი“ | 28 | 8 | 4 | 16 | 17—39 | 20 |
| „დნეპრი“ | 28 | 7 | 3 | 18 | 22—38 | 17 |

## მეორე ლიგა

29 ოქტომბერს შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ.

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „გასტელო“ (უფა) 2:0

გათამაშების ცხრილში შექმნილი მდგომარეობა მასპინძლებს აიძულებდათ ებრძოლათ გამარჯვებისთვის. მათ არაფერი დაიშურეს ამ მიზნის მისაღწევად, თუმცა სტუმრებმა იოლად არ დათმეს ბრძოლა და შეუპოვარი მეტოქეობა გაუწიეს დინამოელებს.

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ ზუგდიდელებს რამდენიმეჯერ მიეცათ მოპირდაპირე კარის აღების შესაძლებლობა — კვარაცხელიას, დარჯანიას, გუნიას დარტყმები კი ვერ მოხვდა მიზანს. შემდეგ „გასტელოს“ მეკარე პაიდაროვმა აიღო რამდენიმე სახიფათო ბურთი, კვლავ ააცილა მიზანს დარჯანიამ. მხოლოდ 43-ე წუთზე შეძლო გუნიამ ზუსტად შეესრულებინა გადამწყვეტი დარტყმა — 1:0.

შესვენების შემდეგ სომხიშვილმა მეორე ბურთი გაიტანა უფელთა კარში და ამის შემდეგ ზუგდიდელებს აღარ გასჭირვებიათ საწადელი მიზნის მიღწევა.

ზ. ალშიბაია.

### „დილა“ (გორი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 2:1

მიმდინარე გათამაშების I წრეში გორელებმა ნაბერეჟნიე ჩელნიში დაამარცხეს „ტურბინა“ — 1:0. მიუხედავად სტუმრების თავგამოდებული ცდისა აელოთ რევანში, „დილამ“ ამჯერადაც უპირატესობით ჩაატარა მატჩი და კვლავ გაიმარჯვა.

დასაწყისში „ტურბინამ“ სცადა ხელთ აეღო ინიციატივა, მაგრამ უკვე მე-5 წუთზე „დილა“ გადავიდა იერიშზე, ხაჩატურიანი შეიჭრა მოპირდაპირის საჯარიმო მოედანზე, გადააწოდა ქერდიკაშვილს და ამ უკანასკნელმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

განსაკუთრებით დაიძაბა ბრძოლა მეორე ტაიმში, როცა მასპინძლებმა ...ლევას და მეკარე ბერიძეს მოუხდათ რამდენიმე სახიფათო მომენტის ლიკვიდირება. მალე მეტოქის ეს იერიშები მოგერიებული იქნა, 35-ე წუთზე კი კომბინაცია ბუზალაძე — ქერდიკაშვილი — ხუციშვილი მეორე გოლით დამთავრდა.

სტუმრები ბევრს ეცადნენ დაეღწიათ თავი მარცხისთვის, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მათ შეძლეს, ... მიერ გატანილი ერთადერთი საპასუხო გოლი. „დილა“ მორიგი 2 ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

ი. თევდორაშვილი.

### ჭაბუკთა საკავშირო

არმიანსკი. (ყირიმი). აქ დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და თბილისის „ავაზა“. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. მეორე წრეში დინამოელებმა ფრედ ითამაშეს ფრუნზეს გუნდთან, ხოლო „ავაზამ“ — აშხაბადელებთან. ორივე შემთხვევაში ანგარიში იყო 0:0.

ლენინგრადის „ზენიტმა“ ანგარიშით 2:1 მოუგო იაროსლავლის „იაროსლაველცს“. „იაროსლაველცი“ დაამარცხეს, აგრეთვე, ფრუნზელებმა — 4:2, ხოლო ლენინგრადელებმა მოუგეს აშხაბადელებს — 2:1.

### გაიმარჯვეს ვეტერანებმა

განვლილ შაბათ-კვირას თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა თბილისის, ბაქოსა და საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდებისა (1959-61 წლებში დაბადებულნი) და თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა ტურნირი კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პრიზზე, რომელიც მიეძღვნა ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს.

გაიმარჯვეს ვეტერანებმა. II ადგილზეა თბილისის ნაკრები, ხოლო III — ბაქოს გუნდი.

### „დინამო“ (ბათუმი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 1:0

საპასუხისმგებლო მატჩი ზონის ერთ-ერთ ლიდერთან რთულ ამოცანებს სახავდა ბათუმელ ფეხბურთელთა წინაშე, მაგრამ დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ითამაშეს მონდომებით, ენერგიულად და ღირსეულადაც გაიმარჯვეს.

მე-10 წუთზე ცინარიძემ დაკარგა ანგარიშის გახსნის საუკეთესო შესაძლებლობა, შემდეგ ესებუამ მოახვედრა ძელს ბურთი. ამ გამოუყენებელ მომენტებს მოჰყვა ბეჟანიძის, გორგილაძის, გიორგიაძის უზუსტო დარტყმები.

ერთადერთი და გადამწყვეტი ბურთი ბათუმელებმა გაიტანეს მეორე ტაიმში: შელიას მიერ დარტყმული საჯარიმო მოიგერია მეკარე ფედოტოვმა, ბურთს მიუსწრო გორგილაძემ და ბადეში გაგზავნა იგი.

გ. მურვანიძე.

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 4:0

სამტრედიის „ლოკომოტივმა“ წარმატებით იბრძოლა მთავარი ამოცანის შესასრულებლად — ლიგაში თამაშის უფლების შესანარჩუნებლად, ახლა კი იბრძვის სატურნირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

განვლილ მატჩში „გაზოვიკთან“ რკინიგზელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ. უკვე მე-18 წუთზე დვალიშვილმა ჩახუნაშვილისაგან მიღებული ბურთი ზუსტად გაგზავნა მეკარე ჩურკინისგან შორეულ კუთხეში. რკინიგზელები განაგრძობდნენ შეტევებს და ერთ-ერთი ასეთი იერიშისას ცუცქირიძის მიერ დარტყმულ ბურთს ხელით შეეხო „გაზოვიკის“ მცველი. პენალტი კარგად დაარტყა ქორიძემ — 2:0.

გამარჯვება ფაქტიურად გარანტირებული იყო, მაგრამ ლოკომოტიველები განაგრძობდნენ მეტოქის კარის შტურმს, რასაც მოჰყვა დვალიშვილისა და ჩახუნაშვილის მიერ შესრულებული ზუსტი დარტყმები. სამტრედიელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს.

ა. სირაძე.

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 5:0, „დინამო“ (სოხუმი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 5:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 3:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „დინამო“ (კიროვი) 3:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 1:3.

---

**ქართული სპორტის ამაგდარ ადამიანებს, რესპუბლიკის მოფარიკავეთა მთელი თაობის აღმზრდელებს ტრიფონ მესხს, შოთა დარასელიას, ლადო ქოჩიაშვილსა და სიმონ აჯიმამუდოვს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდათ.**



# ფარიკაობას მიძღვნილი 150 წელიწადი

ცხოვრების იმ გრძელ გზას, რომელსაც ბედს ვანდობთ და ბოლომდე ერთგულად მივუყვებით, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი დასაწყისი აქვს, მაგრამ უფრო ხშირად იგი იმ ინტერესებისა და გრძნობების ლოგიკური გაგრძელებაა, რომელიც გულში ყრმობიდანვეა ჩაბუდებული. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ თამამად გაიმეორონ ეგზიუპერის სიტყვები: „საიდან ვარ? — ჩემი ბავშვობიდან“.

ტრიფონ მესხს, შოთა დარასელიას, ლადო ქოჩიაშვილსა და სიმონ აჯიმამუდოვს, მწვრთნელის გზას რომ ირჩევდნენ, უკვე შეგნებული ჰქონდათ, რომ ფარიკაობაში თურმე მხოლოდ მუშკეტერთა ცხოვრების რომანტიკა არ იზიდავდათ. ფარიკაობა მათთვის ბევრად მეტი იყო და იმთავითვე ამ ხელმარტებულმა ჩააყენა ისინი ქართული ფარიკაობის სამსახურში.

ვიღაცამ თქვა: „ფარიკაობა ესაა... ჭადრაკი რაპირით ხელში, პირველყოვლისა ესაა თამაში აზროვნებით და მხოლოდ ამის შემდეგ — იარაღით ორთაბრძოლა“. ეს სიტყვები ზედმიწევნით ესადაგება ქართული საფარიკაო სკოლის სულისკვეთებას, რომლის შემქმნელგამმტკიცებელთა შორისაც დღევანდელ იუბილართა ოთხეული უნდა დავასახელოთ.

დიახ, ეს ოთხი ადამიანი თავდაპირველად საფარიკაო ბილიკმა გამოიყვანა ცხოვრების ერთ დიდ გზაზე, ქართულ ფარიკაობაზე ზრუნვამ ჩააყენა ერთი საქმის სამსახურში, ერთმა მიზანმა შეაკავშირა. ათეული წლების მანძილზე ერთად განიცდიდნენ აღსაზრდელთა გამარჯვებით მოგვრილ სიხარულს და, რადგან სპორტი უმარცხოდ არ არის, მძიმე წუთებშიც ივიწყებდნენ ყოველგვარ პირადულს, ერთმანეთის მხერაში ხატავდნენ ნუგეშს და თანადგომას.

ისინი დღესაც ერთად არიან. ახალი ხნულიც ერთად გააქვთ და მოსამკელსაც ერთად იმკიან. ქართული ფარიკაობა ჯერ კიდევ მიუწვდომელ სიმაღლეებს გასცქერის. გასცქერის ამ ოთხეულის თვალით და გონებითაც. ავი დღის ოთხივე საქართველოს მუშკეტერთა ნაკრებ გუნდს უდგას სათავეში. თითქოს ბედმა ინება — ქართული ფარიკაობის ოთხი დედაბოძი, ისინი, რომლებსაც დღესვე შეუძლიათ „ხმალი ჩააგონ“, ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავი ვალმოხდილად ჩათვალონ, ერთსა და იმავე დროს, ერთ წელიწადს, ერთი საქმის სამსახურში და ერთი სპორტული დარბაზის ჰერქვეშ შეეგებნენ თავიანთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ოთხივე მწვრთნელს კი ერთად აღებული 150 წელიწადი აქვთ მიძღვნილი ქართული ფარიკაობისთვის.

...ამ თვე-ნახევრის წინათ ისინი ტაშკენტში, „იშლიკის“ სპორტულ მანეჟში ვნახე. მათი აღსაზრდელები უზბეკეთის დედაქალაქში მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში აბარებდნენ გამოცდას სპორტული სიმწიფის ატესტატზე. მწვრთნელები უსაზღვროდ ღელავდნენ, რადგან ეს მხოლოდ ნორჩ მოფარიკავეთა გამოცდა როდი იყო. აქ მოწმდებოდა მწვრთნელთა შემოქმედებაც, ისინიც გამოცდას აბარებდნენ საბჭოთა ფარიკაობის ელიტის წინაშე. მაგრამ ეს იყო მხოლოდ მღელვარება, ჩვეულებრივი ადამიანური ემოციების გამოვლინება და არა შიში. შიში მათ გულშიც არ გაუვლიათ, რადგან ამგვარი გამოცდის დროს შიში საქმეში ხელმოცარულთა ხვედრია მხოლოდ. ჩვენი ნორჩი მოფარიკავეების აღმზრდელები თავისებურად განიცდიდნენ სასპარტაკიადო პერიპეტიებს, მაგრამ ერთნაირად აღიქვამდნენ ყველაფერს, რაც რესპუბლიკის სპორტულ პრესტიჟთან და სახელთან იყო დაკავშირებული. ჩემი და შენი მათთვის არ არსებობდა, ვისაც რა შეეძლო, იმას აკეთებდა. ამიტომაც ხშირად ვხედავდი მათ საფარიკაო ორთაბრძოლების შორის სახელდახელო თათბირებზე თავშეყრილთ.

მოფარიკავეთაგან ტრიფონ მესხი საქართველოში ერთადერთია, რომელიც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სახელს ატარებს. შოთა დარასელია, ლადო ქოჩიაშვილი და სიმონ აჯიმამუდოვი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები არიან. აქვე მინდა ვთქვა ისიც, რომ ოთხივემ ჩვენს რესპუბლიკას 100-ზე მეტი მარტო სსრ კავშირის სპორტის ოსტატი აღუზარდა. მათი მოწაფეები ყოფილან ყველა რანგის პირველობის ლაურეატები — დაწყებული თბილისის ჩემპიონებიდან, დამთავრებული ოლიმპიური ჩემპიონებით. აი ისინიც: ნ. ასათიანი, გ. კოსტავა, რ. ცირეკიძე, მ. სახვაძე, ი. ოსიპოვი, გ. ანდრიაძე, გ. ლორთქიფანიძე, ძმები გოგელიები, რ. გოშაძე, ო. კიკალიშვილი, ა. კიკნაძე, დ. შარაშენიძე, ვ. აფციაური...

ამ ადამიანებს, თქმა არ უნდა, მეტნაკლები წილი უდევთ ქართული ფარიკაობის წინსვლა-დაწინაურებაში, მაგრამ, ვინც მათ ნაღვაწ-ნაამაგარს, ქართული ფარიკაობის დღევანდელობას მთლიანობაში წარმოიდგენს, ვინც მის სიმბოლურ შენობას გონების მზერას მიაპყრობს, მისთვის ამ შენობის ოთხივე სვეტს უცილოდ ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არ მიცდია წერილში ცალ-ცალკე გამომეყო ისინი. ერთმანეთისთვის არ შემიდარებია და დამიპირისპირებია თითოეულის დამსახურება. ამგვარი გამოყოფა ერთ საქმეზე სიყრმიდანვე გადაგებულთათვის, მართლაც რომ უხერხული იქნებოდა. მით უმეტეს, რომ სხვადასხვა დროს ჩვენს პრესას მათთვის არ დაუკლია სითბო და სიყვარულის გამოხატვა. ერთი კი ცხადზე ცხადია: ტრიფონის მიზანსწრაფვა და ფანატიზმი, შოთას გულმოდგინება და გულისხმიერება, ლადოს შრომისმოყვარეობა და თავდადება, სიმონის დაუოკებელი ჟინი წარუშლელ ელფერს ანიჭებს ქართულ ფარიკაობას. ეს მისი ტრადიციების ნიშანდობლივი თვისებაა და, როგორც დაუწერელ კანონს, როგორც სავალდებულო მოთხოვნას, ამ თვისებებს გვერდს ვერ აუვლის მწვრთნელთა ვერც ერთი ახალგაზრდა თაობა, რომელიც მომავალში თავის ხელში აიღებს ქართული ფარიკაობის ბედ-იღბალს. ამავე ოთხეულის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ბევრი რამ რაინდული, კარგი და ვაჟკაცური აქვთ ჩვენს მოფარიკავეებს. მათივე საუკეთესო პროფესიული და ადამიანური თვისებაღირსებები ცხოვრების საგზლად მოჰყვება ყველა მუშკეტერს. ამ მადლს ყველა ხედავს და გრძნობს, ვინც მათს აღზრდილებთან, ქართული ფარიკაობის „კურსდამთავრებულებთან“ მუშაობს და მეგობრობს.

მინდოდა აქ შემეწყვიტა საუბარი, მაგრამ უკმარობის გრძნობამ არ დამასმევინა წერტილი. გუშინწინ საფარიკაო დარბაზში მივაკითხე ოთხივე მწვრთნელს და იუბილარებს ამ ერთადერთი შეკითხვით მივმართე:

**— რა მიგაჩნიათ ქართული ფარიკაობის შემდგომი აღმავლობის წინაპირობად და რას უსურვებდით თქვენს შემცვლელ ახალგაზრდობას?**

**ტრიფონ მესხი:** — ქართული ფარიკაობა პირველყოვლისა მწვრთნელებმა უნდა დააწინაურონ. ფარიკაობაში მწვრთნელი უშუალოდ, პრაქტიკულადაა ჩართული წვრთნის პროცესში. მოწაფე და მასწავლებელი ერთად ქმნიან, ამუშავებენ და ხვეწენ იმ სიტუაციებს, რომლებიც სპორტსმენს შეჯიბრების პროცესში შეხვდება. ე. ი. მწვრთნელი არ უნდა ჩამორჩეს სიახლეებს, მან ყველაფერი უნდა იცოდეს. თუ მწვრთნელი საშუალო დონისაა, მის ხელში ნიჭიერი მოწაფეც საშუალო სპორტსმენად იქცევა. კარგ მწვრთნელთან კი იგი უთუოდ მიაღწევს მიზანს. ასე რომ, ახალგაზრდა სპეციალისტი პროფესიული ოსტატობის ამაღლების გამუდმებულ ძიებაში უნდა იყოს. მოფარიკავეთა მწვრთნელი მუდამ ბილიკზე დგას თავის მოწაფესთან ერთად. მაშასადამე, იგი სპორტსმენებზე ნაკლებ დატვირთვას არ იღებს. ახალგაზრდამ, როცა მწვრთნელის პროფესიას ირჩევს, ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს.

**შოთა დარასელია:** — ქართულ ფარიკაობას ჰქონდა პერიოდი, როცა ჩამორჩა, ერთ ადგილზე გაიყინა. ახლა იგი ახალი ენერგიით მიიწევს წინ. დიახ, ამ ინერციის ძალაც მწვრთნელებზეა დამოკიდებული. საჭიროა მეტი ზრუნვა და მხარდაჭერა, უკეთესი პირობების შექმნა. თუ მწვრთნელთა ენთუზიაზმს პირობებიც არ უწყობს ხელს, საქმე დაღუპულად მიმაჩნია.

ახალგაზრდა მწვრთნელებს ვუსურვებდი საქმისადმი ფანატიკურ სიყვარულს და ენთუზიაზმს. ვუსურვებდი ნიჭიერ მოზარდთა შერჩევას, თითოეული სპორტსმენისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და მუშაობის უნარს. როგორც დიდი ილია იტყოდა — „მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა, და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა“.

**ლადო ქოჩიაშვილი:** — მწვრთნელთა დაუღალავი შრომა, ფარიკაობით ბავშვთა დაინტერესება მიმაჩნია ქართული ფარიკაობის ჯერ კიდევ დაფარული შესაძლებლობის სრულად გამოვლენის მთავარ პირობად. მეცადინეობაზე მოსული მწვრთნელი სამეცადინო დროს ანგარიშს არ უნდა უწევდეს, საათზე არ უნდა იხედებოდეს. ამგვარ დამოკიდებულებას საქმისადმი მოზარდებიც ამჩნევენ და ბევრი მათგანი გულს იცრუებს ფარიკაობაზე. რა თქმა უნდა, ამას ზოგიერთი ახალგაზრდა მწვრთნელის საყურადღებოდ ვამბობ მხოლოდ.

**სიმონ აჯიმამუდოვი:** — ჩემი აზრით, მწვრთნელმა პირველყოვლისა უნდა დაისახოს მიზნად ამა თუ იმ სპორტსმენის წარმატება და შემდეგ მეთოდურად, თავდაუზოგავი შრომით გაალვივოს იგი აღსაზრდელში. ჩვენმა თაობამ რისი გაკეთებაც შეძლო, ვფიქრობ ყველაფერი გააკეთა, მაგრამ არც ახალგაზრდა მწვრთნელებს მოუწევთ იოლი გზით სიარული. მათ თავის წილი ზღუდეები აქვთ ასაღები, რომელთა მიღმაც ქართული ფარიკაობის ხვალინდელი დღეა.

როგორც ხედავთ, ამაგდარ მწვრთნელთა მოღვაწეობას ერთი და იგივე მიზნები წარმართავს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამგვარი მოღვაწეობა კი უთუოდ გამარჯვებით უნდა დაგვირგვინდეს.

თ. გაჩეჩილაძე

• • •

სურათზე: მარცხნიდან — ს. აჯიმამუდოვი, ტ. მესხი, შ. დარასელია და ლ. ქოჩიაშვილი.

ს. ვართანესოვის ფოტო.

---

# ოლიმპიური ტრასით

ოლიმპიადა-80-ის ცეცხლი ჩვენს ქვეყანაში გზას სასაზღვრო სოფელ ლეუშენიდან გაუდგება. მოლდავეთის მიწაზე, ამ რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები 300 კილომეტრზე წაიღებენ ჩირაღდანს, რომელსაც შემდეგ უკრაინელ კოლეგებს გადასცემენ.

მოლდავეთში უკვე შეუდგნენ ტრასის გაფორმებას. დეკორატიული ხეები ჩამწკრივდება ლეუშენ-კიშინიოვის მაგისტრალზე, რომელიც გაფორმებული იქნება ეროვნულ სტილში ოლიმპიადის სიმბოლიკის გამოყენებით.

# სპარტაკიადის შესახვედრად

**საქართველოს** VII სპარტაკიადის მზადებასთან დაკავშირებით წითელი წყაროს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი ორ თვეზე მეტია ატარებს რაიონულ სპარტაკიადას სპორტის 9 სახეობაში. ჩატარებული ღონისძიებებიდან ყველაზე უფრო მასობრივი იყო შეჯიბრება მშდ მრავალჭიდში. I საფეხურის მონაწილეთა შორის გაიმარჯვეს ზემომაჩხაანელმა თამარ ჯანაშვილმა და წითელი წყაროს მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ვაჟა ჩერქეზიშვილმა. II საფეხურის ნიშნოსანთა შეჯიბრებაში როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს შორის იმარჯვეს წითელი წყაროს მე-2 სკოლელებმა მაყვალა წიკლაურმა და გია გოგილაშვილმა.

III საფეხურში თავი კვლავ ზემო მაჩხაანელებმა — ციური გოსტოლაშვილმა და დიმიტრი ნასრაშვილმა გამოიჩინეს. IV და V საფეხურის შეჯიბრებაში, სამწუხაროდ, მხოლოდ მამაკაცები გამოდიოდნენ. IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვა ზურაბ გივოიძემ, ხოლო მეორე ასაკობრივ ჯგუფში — არხილოსკალოელმა ალექსი ჰინჭარაულმა. ყველაზე ხანდაზმულთა საფეხურში პირველობა არაგვის დაუთმო რაიკოოპერატივის მუშაკმა ალექსანდრე ლომიძემ.

ლელობურთში ყველას აჯობეს ზემოქედელმა სპორტსმენებმა და სპარტაკიადის ჩემპიონობაც მათ მიეკუთვნათ.

ფრენბურთელთა ასპარეზობაში, სადაც პირველი ადგილისათვის 9 კოლექტივი იბრძოდა, წარმატებით გამოვიდნენ წითელი წყაროს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელთაც პირველი ადგილი და სპორტკომიტეტის გარდამავალი თასი მოიპოვეს. ქალთა შორის პირველ ადგილზეა წითელი წყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი.

კალათბურთელ ვაჟთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი და ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის სახელობის გარდამავალი თასი დაისაკუთრეს არბოშიკელმა კალათბურთელებმა. ქალთა შორის პირველ ადგილზე გავიდნენ წითელი წყაროს მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები.

მალე დამთავრდება ფეხბურთელთა ტურნირი, რომლის ფინალური შეხვედრა 7 ნოემბერს გაიმართება.

**გ. ქოჩიაშვილი,**
რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

## ჭადრაკი

**დამთავრდა** სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა უკრაინის ნაკრებმა, მეორეზეა რსფსრ-ს, მესამეზე — ყაზახეთის გუნდი.

## ხელბურთი

**სსრ კავშირის** ვაჟთა ჩემპიონატის ლიდერმა, ცსკა-მ ლიტვის ქალაქ ალიტუსში დაწყებითი ფინალური ტურნირის პირველ დღეს დაამარცხა ზაპოროჟიეს ზას-ი — 35:15 (19:8). მოსკოვის „კუნცევომ“ მოუგო ზაპოროჟიეს ზიი-ს — 25:20 (12:10).



ტურისტული სეზონის უკანასკნელი მარშრუტები.

თ. ქიქავას ფოტო.

## ალპინიზმი

### ოქროს — მედლები [illegible]

**წლევანდელ** საკავშირო ჩემპიონატში ტექნიკური ასვლების კლასში ოქროს მედლები მოიპოვეს მთამსვლელთა ბანაკ „არტუჩის“ წარმომადგენლებმა, აპატიტელმა ო. შუმილინმა (ხელმძღვანელი), ტირნიაუზელმა ა. ანდრეევმა, ლენინგრადელებმა ი. ჯიბრაევმა, ი. ფედოტოვმა, ს. ვიკულინმა, ვ. ლაზარევმა, ს. ტიულპანოვმა და ფ. ჩასოვმა. მათ ალაის პამირში მწვერვალი „მირალი“ (5180 მ) დალაშქრეს ჩრდილო-დასავლეთის კედლის ცენტრით.

სასიმაღლო ასვლების კლასში საუკეთესო იყო „ტრუდის“ გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ლენინგრადელები გ. ჩუნოვკინი, ი. ბორზოვი, ი. სლესოვი, გ. ჯიოევი და ე. მიხალევი (სამივე — დონის როსტოვი). მათ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი — კომუნიზმის პიკი (7495 მ) ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლით დალაშქრეს.

## ევროპის პირველობა

●

## ბერძნების გამარჯვება

**სალონიკი**, 29 ოქტომბერი. აქ გაიმართა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საბერძნეთისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის (VI ჯგუფი).

ბერძენმა ფეხბურთელებმა მატჩი ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1, ამასთან ხუთივე გოლი გატანილი იქნა მატჩის მეორე ნახევარში.

ევროპის VI შესარჩევ ჯგუფში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12—7 | 4 |
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6—9 | 4 |
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | 2 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4—6 | 2 |



## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### უცხოელები „აიაქსში“

ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის და ჰოლანდიის ჩემპიონატის ამჟამინდელი ლიდერის — ამსტერდამის „აიაქსის“ ღირსებას 5 უცხოელი იცავს: ჩინელი ჩეუ ლა ლინგი, ინგლისელი კლარკი, დანიელები არნესენი, ლერბი და მოლუკელი სიმონ ტაჰამატა.

●

### არგენტინელთა გეგმები

მსოფლიო ჩემპიონებს — არგენტინელებს დაგეგმილი აქვთ ტურნე ევროპაში, რომელსაც ისინი მომავალი წლის მაისში გამართავენ. 25 ან 26 მაისს ჩემპიონები მილანში შეხვდებიან იტალიის ნაკრებს, ხოლო 29-ში ამსტერდამში — ჰოლანდიელებს.

### იუგოსლავია

ბოლო ტურებში აშკარად გაიუმჯობესა მდგომარეობა ლიუბლიანის „ოლიმპიამ“, რომელმაც ნიშში ფრედ (0:0) ითამაშა ადგილობრივ „რადნიჩკისთან“.

10 ტურის შემდეგ 14 ქულით პირველ ადგილზეა ტიტოგრადის „ბუდუჩნოსტი“. განვლილი ტურის მატჩი სტუმრად მან ფრედ დაამთავრა „ოსიეკთან“ — 1:1. მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა ზაგრებში, სადაც ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო სპლიტის „ჰაიდუკი“. ფრე — 2:2. ახლა „ჰაიდუკი“ 13 ქულით II ადგილზეა, ზაგრების „დინამო“ კი 12 ქულით — მესამეზე.

### იტალია

III ტურის შედეგები ასეთია: „ბოლონია“ — „ლანეროსი“ 5:2, „კატანძარო“ — „იუვენტუსი“ 0:0, „ლაციო“ — „ატალანტა“ 1:1, „მილანი“ — „ასკოლი“ 0:0, „ნაპოლი“ — „რომა“ 1:0, „პერუჯა“ — „ფიორენტინა“ 1:0, „ტორინო“ — „აველინო“ 1:0, „ვერონა“ — „ინტერი“ 0:0.

გათამაშების ცხრილში 5-5 ქულით პირველ 3 ადგილზე არიან „მილანი“, „პერუჯა“ და „ტორინო“.

„მილანის“ თამაშს კვლავ ჩინებულად ხელმძღვანელობს 35 წლის რივერა. მიმომხილველები აღნიშნავენ 39 წლის მეკარე ალბერტოზის საიმედო თამაშსაც. შარშანდელი მეორე პრიზიორი „ლანეროსი“ (ვიჩენცა) ჯერჯერობით ულიმღამოდ თამაშობს, რასაც ექსპერტები განთქმული თავდამსხმელის როსის ავადმყოფობით ხსნიან. ჩემპიონი — „იუვენტუსი“ 4 ქულით ჯერჯერობით IV ადგილზეა. მწვრთნელმა ტრაპატონიმ გუნდი რამდენადმე გადაახალისა. 20 წლის კაბრინი, რომელმაც ყურადღება მიიპყრო არგენტინაში, ახლა სისტემატურად გამოდის დაცვაში, კუკურედუმ მინდვრის შუაგულში გადაინაცვლა, ხოლო 35 წლის ბონინსენია ახალგაზრდა ვირდისმა შეცვალა თავდასხმის ცენტრში.

### ფინეთი

ეროვნული ჩემპიონატი დამთავრდა ჰელსინკის ჰიკ-ის ძნელი გამარჯვებით. მან 22 თამაშიდან 33 ქულა მოაგროვა და მხოლოდ 1 ქულით გაუსწრო კუოპიოს კპტ-ს.

## ჩემპიონატები, მატჩები, სიახლეები

31 ქულა აქვს ვალკეაკოსკის ჰაკა-ს. დანარჩენი გუნდები საგრძნობლად ჩამორჩნენ.

თასის ფინალი 2 მატჩისგან შედგებოდა. პრიზი ლაჰტის „რეიპასმა“ დაისაკუთრა, რომელმაც დაამარცხა კპტ (კუოპიო) — 2:0, 1:1.

### ესპანეთი

VI ტურში მადრიდში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — „რეალი“ და ბილბაოს „ატლეტიკო“. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „რეალმა“, რომელიც 10 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. 8-8 ქულა მოაგროვეს ბილბაოს „ატლეტიკმა“, „ბარსელონამ“ და „ესპანიოლმა“ (ბარსელონა). „ბარსელონამ“ შინ მოუგო „უნიონს“ (ლას-პალმასი) — 2:1, ხოლო „ესპანიოლი“ სტუმრად დამარცხდა სან-სებასტიანის „რეალთან“ — 1:2.

### ბელგია

8 ტურის შემდეგ 14 ქულით პირველ ადგილზეა ბრიუსელის „ანდერლეხტი“, რომელმაც სტუმრად გაიმარჯვა (3:1), „ბერჰემ სპორტსთან“. 11 ქულით II ადგილზეა ანტვერპენის „ბეერშოტი“. 10 ქულით მესამეზე გადაინაცვლა „ვატერშაიმ“.

### შვეცია

გამოვლინდა ჩემპიონი — ვექიოს „ოესტერსი“. ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე მან 24 თამაშიდან 37 ქულა მოაგროვა და მიუწვდომელი გახდა კონკურენტებისთვის. 30 ქულით II ადგილზეა „გიოტებორგი“, 29-29 ქულა აქვთ „მალმიოსა“ და „კალმასს“. ეს 3 გუნდი კვლავინდებურად მეორე საპრიზო ადგილისთვის იბრძვის.

### საფრანგეთი

გათამაშდა 15 ტური. ლიდერობს სტრასბურგის „რესინგი“, რომელსაც 22 ქულა აქვს და ერთი თამაშიც მარაგში. 20 ქულა მოაგროვა „მონაკომ“, 19-19 ქულა — „სენტ-ეტიენმა“ და „სოშომ“.

გათამაშების ცხრილში ჩამორჩნენ „ნანსი“ (სადაც ჯერ კიდევ თამაშობს დაშავებული პლატინი), „ნიცა“ და „სტად დე რეიმსი“.

### შოტლანდია

IX ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერის — გლაზგოს „სელტიკის“ შეხვედრას ქ. დანდიში ადგილობრივ „იუნაიტედთან“. „დანდი იუნაიტედი“ ლიდერს სულ 2 ქულით ჩამორჩებოდა, ახლა კი დაამარცხა იგი — 1:0 და გაუთანაბრდა კიდეც. მათ 12-12 ქულა აქვთ. ამდენივე მოაგროვა ედინბურგის „ჰიბერნიენმა“.

### დანია

27 თამაშიდან 38 ქულით ლიდერობს „ვეილე ბკ“. იგი 3 ქულით უსწრებს „აარჰუსს“, ოთხით — „ესბიერგ ბკ-ს“. დანარჩენი გუნდები ჩამორჩნენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლის პრეტენზია უკვე აღარა აქვთ. წინა ჩემპიონატში გამარჯვებული „ოდენზე ბკ“ 31 ქულით V ადგილზეა და უკვე გამოეთხოვა თავის წოდებას.

### პორტუგალია

ჩემპიონი — „პორტო“ 6 ტურის შემდეგ 10 ქულით ლიდერობს. იგი 1 ქულით უსწრებს ლისაბონის „სპორტინგს“ და ორით — ბრაგას „სპორტინგსა“ და ვარცინის „პოვოას“. პორტუგალიის მრავალგზის ჩემპიონს „ბენფიკას“ (ლისაბონი) 6 ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს.

### თურქეთი

ნათამაშევია 6 ტური. 9 ქულით პირველ ადგილზეა „დიარბექირსპორი“. 8-8 ქულა მოაგროვეს „ფენერბახჩემ“, „ტრაბზონსპორმა“, „ბეშიქთაშმა“, „გალათასარაიმ“ და „სამსუნსპორმა“.

### საბერძნეთი

ჩემპიონი და თასის მფლობელი აეკ-ი (ათენი) 5 ტურის შემდეგ [illegible] ქულით კვლავ პირველ ადგილზეა. V ტურში მან ანგარიშით [illegible] სძლია ათენის „პანიონიოსს“. 9 ქულით II ადგილზეა სალონიკის „არისი“. 8-8 ქულა მოაგროვეს „პანათინაიკოსმა“ (ათენი), პირეოსის გუნდებმა „ეთნიკოსმა“ და „ოლიმპიაკოსმა“.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე




**შეგახსენებთ**, რომ „საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს“ მეორე ტირაჟის ჩატარებამდე დარჩა ორი კვირა!

15 ნოემბერს პრაღაში ჩატარდება ტირაჟი, რომელსაც ნახავთ ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიის სპეციალური სპორტული-გასართობი პროგრამის გადმოცემის დროს — 22 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

მართალია, ამ ახალ ლატარეას დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ მას უამრავი თაყვანისმცემლები გამოუჩნდნენ.

„საერთაშორისო ოლიმპიური ლატარიის“ პირველ ტირაჟში ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი გახდა ტურისტული საგზურის მფლობელი „ოლიმპიადა-80“-ზე დასასწრებად. მათ მიიღეს ავტომანქანა „ჟიგულის“ ურიგოდ გამოყვანის ტალონი. იმ კონკურსის დებულების თანახმად, რომელიც „სპორტლოტოს“ რესპუბლიკურ სამმართველოს ადრე ჰქონდა გამოცხადებული, ტალონს მიიღებს, აგრეთვე, ის მოთამაშე, რომელიც სწორად გადახაზავს 6 სპორტულ სახეობას.

**კონკურსი გრძელდება!**

პირველ ტირაჟში რამდენიმე მოთამაშემ სწორად გამოიცნო 5-5 სპორტული სახეობა და თითოეულმა მიიღო ფულადი მოგება 6030 მანეთის რაოდენობით.

ამ ლატარიაში მაქსიმალური ფულადი **მოგება — 10.000 მანეთამდე**.

„საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს“ პირობები აღწერილია ბარათის მეორე მხარეს და მისი შეძენა შეგიძლიათ „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში, შემნახველ სალაროებში და საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.

მიიღეთ მონაწილეობა „საერთაშორისო ოლიმპიურ ლატარიაში“!

საქსპორტლოტო.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-[illegible]; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 133[illegible]